ოქმი:**ო03.37220771**
თარიღი:**18/03/2022**

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2022 წელი, 17 მარტი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ე. გორდელაძე, ბ. თოიძე, მ. ვაშალომიძე, ტ. აროშიძე, გ. მდინარაძე, ბ. მელუა, ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი
თანამომხსენებელი:დ.გორდელაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელიი: გ. ჩავლეშვილი
თანამომხსენებელი: გ.მამაკაიშვილი

3. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებულ შესყიდვებზე, კომისიის წვრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მის წარდგენას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, ვრცლად ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე, აღნიშნა, რომ იგი წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. შემდეგ გააცნო შესრულების ძირითადი პარამეტრები, შემოსავლები და ხარჯები, ისაუბრა პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულებაზე, ნაშთებზე, შემოსავლების იმ ნაწილზე-სათამაშო ბიზნესის და

დასუფთავების მოსაკრებელი, რომლებიც არ შესრულებულა. კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა ანგარიშის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წრდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, უპასუხა დასმულ შეკითხვებს, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წრდგენას განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი სამივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე N 1 და N3 საკითხები განხილვისა და ცნობად მიღების, ხოლო N 2 საკითხი განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი